

მამუკა ბახტაძე გუდამაყარში ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა



გუდამაყარში სოფელ ჩოხში გოდერძი ჩოხელის სახლ-მუზეუმის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს. სამუშაოები, რომელიც მიმდინარე წლის შემოდგომაზე დასრულდება, დღეს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ დაათვალიერა.

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, მთავრობის მეთაური გოდერძი ჩოხელის ოჯახის წევრებს და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა და მათ რეგიონში მიმდინარე პროექტებზე ესაუბრა.

პრემიერმა აღნიშნა, რომ მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები მიზნად ისახავს მთიანი დასახლებების გაძლიერებას და კიდევ უფრო განვითარებას, სოფლებიდან წასული მოსახლეობისთვის მშობლიურ მხარეებში დასაბრუნებლად შესაბამისი პირობების შექმნას და აქ არსებული ტურისტული პოტენციალის ზრდას.

მამუკა ბახტაძის შეფასებით, ამ მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „მთის ინტერნეტიზაციის“ პროექტი, რომელიც რამდენიმე თვეა მიმდინარეობს და რომლის შედეგად მაღარსიჩქარიანი ინტერნეტი ფშავის, ხევსურეთის, და გუდამაყარის ხეობებში იქნება ხერმისაწვდომი.

გუდამაყარში ასევე მიმდინარეობს სოფელ ზანდუკის სკოლის რეაბილიტაცია, რომელშიც ხუთი მოსწავდე სწავლობს. პრემიერმა ხაზი გაუსვა ეროვნული იდეის – განათლების რეფორმის მნიშვნელობას, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ განათლების ხერმისაწვდომობაა.

პრემიერ-მინისტრი, გუდამაყარში ვიცე-პრემიერთან, რეგიონური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ მათა ცქიტიშვიდთან, ერთად იმყოფებოდა, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას გუდამაყრის გზის რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოების შესახებ ესაუბრა.

რეგიონში მთავრობის მეთაურთან ერთად ჩავიდნენ სახელმწიფო რწმუნებული შადვა ვერესედიძე, დეპუტატები – ირაკლი ტრიპორსკი და მირიან წიკლაური, პრემიერის მრჩეველი რეგიონური განვითარების საკითხებში სოზარ სუბარი და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მარიამ ქვრივიშვილი.

<https://www.youtube.com/watch?v=yCvXi0l9hMo>